ხელშეკრულება მომსახურების სახელმწიფო
შესყიდვების შესახებ №72/1

„24“თებერვალი 2012 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა
ხელმძღვანელის კობა მაისურაძის სახით, შემდგომში წოდებული "შემსყიდველი" და მეორეს მხრივ ი/მ "ზაზა გონჯილაშვილი", ქ. ხმეტა.
/ორგანიზაცია, საწარმო, მისამართი/
ხელმძღვანელის ზაზა გონჯილაშვილის სახით, შემდგომში წოდებული "მიმწოდებელი"ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია სტუმრების სადილით გამასპინძლება (კოდი-553, წარმომადგენლობითი ხარჯი).
ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული მეთოდით.

2. ხელშეკრულების ობიექტი

"მიმწოდებელი" ვალდებულია გადასცეს "შემსყიდველს"დაკვეთილი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1.მომსახურების მიწოდების თარიღად ითვლება "24"თებერვალი 2012 წ.

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილი ქ. ახმეტა

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1.შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ
4.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და სნ საბოლოო შემოქმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს"მიმწოდებელი"
4.3. "შემსყიდველი" ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს "მიმწოდებელს" საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1."შემსყიდველი" ვალდებულია:გადაუხადოს "მიმწოდებელს" შეთანხმებული ფასი; მიიღოს გაწეული მომსახურება

5.2. "შემსყიდველს" უფლება აქვს: გაუუქმოს "მიმწოდებელს" გაწეული მომსახურება, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.

5.3. "მიმწოდებელი" ვალდებულია: გადასცეს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში; დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

5.4. "მიმწოდებელს" უფლება აქვს: მოსთხოვოს "შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **950(ცხრაასორმოცდაათი) ლარს.**

/ფასდათმობების, გადასახადების, ტრანსპორტირების, დაზღვევის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით/

7. ფ ა ს ე ბ ი

ამ მუხლში აისახება ის შემთხვევები, როდესაც დასაშვები იქნება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასების გადასინჯვა(მაგ. ინფლაციის მაღალი დონე, სავალუტო კურსის მნიშვნელოვანი ცვლილება,საგადასახადო რეჟიმის შეცვლა და სხვა), გარდა ამისა, უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ფასის ცვლილებების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი და ყოველ კონკრეტულ გარემოებასთან მიმართებაში ცვლილებების გაანგარიშების წესი.

8. ანგარიშსწორების პირობები

8.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: **გადარიცხვა**

/გადარიცხვა, ინკასო ან სხვა/

8.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): მომსახურების შემდეგ /მაგ. მომსახურების შემდეგ/

წინასწარი ანგარიშსწორება გარკვეული პროცენტით (ამ შემთხვევაში "მომწოდებელმა" უნდა წარმოადგინოს საავანსო თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტია), ანგარიშსწორება განვადებით,შემსყიდველის ფაქტიური დაფინანსების მიხედვით ან სხვა დასაშვებია ანგარიშსწორების გრაფიკის განსაზღვრა სხვადასხვა ვარიანტების კომბინირებით.

8.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები: **მიღება-ჩაბარების აქტი.**

/ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ./

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების

გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის "მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.2 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტს, "შემსყიდველს" უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორული სიტუაციები

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულიად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

10.4. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11.ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

11.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ყოველდღიურ კონტროლს ადგილზე "შემსყიდველის" მხრიდან ანხორციელებს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი გიორგი ხარიტონაშვილი

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე

12.2. თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია **2012 წლის "31"მარტამდე.**

- /მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, თუ შეუძლებელია მითითებული იქნეს კონკრეტული ვადა/

14.სხვა პირობები

14.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
14.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.
14.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

15.მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

ახმეტის მუნიციპალიტეტის
გამგეობა, ჩოლოყაშვილის ქ.№49
ს/ს"ლიბერთი ბანკის"ახმეტის
ფილიალი
ბ/კ-LBRTGE22
ს/კ-224631165
ა/ა- GE67LB0120113462310000

„მიმწოდებელი"

ქ. ახმეტა,
ი/მ „ზაზა გონჯილაშვილი"
ს/კ-08001006830
ს/ს"ლიბერთი ბანკის"
ახმეტის ფილიალი
ბ/კ-LBRTGE22
ა/ა-GE45LB0112135401609000

"შემსყიდველი" /კობა მაისურაძე/

"მიმწოდებელი" /ზაზა გონჯილაშვილი/